

გ ა ზ ე თ ი ს ზ ა ს ი

თფილისში და გარეუბანში	მათაგან	მათაგან
კრემის	7 მან.	6 მან.
ნახევარის	4 —	3 —
სამის	2 — 50 კ.	2 —
ქარის	1 —	—
საღვთის ნომრისა	—	—
საღვთის ნომრისა	—	15 კ.

ბანცხადება
რედქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი ბანცხადება
სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
გარეის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით
—ასობა 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

დროება

ხალის-მოწერა მიიღება: **თფილისში** — „დროების“ რედქციის კანტორაში, მელიქიძის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.
თფილისის გარეუბანში მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинскои газеты „ВРЕМЯ“.**
ქუთაისში — ბ. კალანდარიძისთან (სასულიერო სასწავლებელში) და **ლ. ლოლუასთან** მაგარისის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

პეტრის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდად, მაგრამ, რომლისავე მიზნისა გამო, არ დაბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიას და ისე დაბეჭდს, გარეუბანში.

ს ა ვ რ ლ ი თ ი კ მ დ ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ შ უ რ მ გ ა ზ ე თ ი.

წ ე ლ ი წ ა ღ ი მ ე მ ე მ ს ა.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო : საზოგადო პურის მალ-
ზიები, — წერილი ამბები, — შორაპნიდამ „დროე-
ბის“ კორესპონდენცია. — რუსეთი: — წერილი ამ-
ბები. — მკის ამბები. — მორიგების პირობები
საფრანგეთსა და ბერმანის შუა. უცხო
ქ ე ე ე ე ე : — საფრანგეთი, — ახალი სამინისტრო
საფრანგეთში, — ავსტრია და მეგრია, — ინგლისი, —
ბერმანია. — ნ ა რ ე ე ი. — ბიბლიოგრაფიული განცხა-
დებები.

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო

ს ა ზ ო გ ა დ ო პ ო რ ი ს მ ა ლ ა ზ ი მ ი

ამ ნომრიდან ორ ძლიერ სასიამოვნო ამბავს
შეიტყობს ჩვენი მკითხველი. პირველი ამთ-
განი არის ის ცნობა, რომელიც გავსეს
„მაკაზმა“ დაბეჭდილი და რომელიც აქვე
მოგვყავს:

„შემდეგშია რომ არ მოხლოდათ თფი-
ლისის გუბერნიის მცხოვრებლებს ის საქმე,
რაც შარშანწინ დაემართათ, ნამუშაურის
მოუსვლელობის გამო, გუბერნიის მოკრობამ
შარშან აპრილში, ადგილობრივი პოლიციის
საშუალობით, დაუწყო ჩაგონება სოფლის
ხალხს, რომ სოფლებში საზოგადო პურის
მალაზიები გაემართა ისე, როგორც კანონშია
მოხსნებული. იმ ცნობებიდან, რომელნიც
ამის შემდეგ უეზდის ნაჩაღნიკები ავან მოსუ-
ლა თფილისში, — სჩანს, რომ თფილისის უეზ-
დში 32 სოფელში არის გამართული პურის
მალაზიები, რომლებშიაც 3,000 ჩეტყურტი
პურია შენახული; ამას გარდა ამისთანა მალა-
ზიები გამართულია სიღნაღის უეზდის 33
სოფელში, სადაც აწყვია 3654 ჩეტყურტი
ფქელი. ლუშეთის უეზდში ყველა სოფლის
საზოგადოებაში გამართულია მალაზიები, სა-
დაც საქმათა იქეთ დამზადებული პური,
სიმინდი და ქერი. აგრეთვე თფილისის უეზ-
დშია გამართულია პურის მალაზიები. რაც
შეეხება ბორისა და ახალციხის უეზდებს,
თუმცა ვერ ვერ მოუყვანიათ ეს საქმე სისრულ-
ეში, მაგრამ, უეჭველია, რომ წელს იქაც
გამართება პურის მალაზიები, რადგან ამ
საქმეს განსაკუთრებითი ყურადღება აქვს
მიქცეული.“

ის ცნობა გამოგზავნილი იყო დასაბეჭდათ
იმ შინაშენის დასარღვეველათ, რომელიც
„სასოფლო მავთილად“ გადმობეჭდა ამას
წინათ „მაკაზმა“ და რომელშიაც ეწო-
რა, რომ უკანასკნელი ცუდი მოსავლის
შემდეგ, პურის მალაზიებზე ჩვენში ხსენებაც
ალარ არისა.“

ძალიან სასიამოვნოა, რომ იმისთანა უბრა-
ლო გარემოებამ შეგვტყობინა ჩვენ ასეთი
შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ამბავი.
მეორე მხრით, ძლიერ გასაკვირველია, რომ
ამდენ ადგილებს გაუმართავთ საზოგადო
პურის მალაზიები და ერთი კაცი არ გამო-
ჩნდა, რომ „დროების“ ან სხვა რომელიმე
ჩვენური გაზეთის საშუალებით, ეს შესა-
ნიშნავი ამბავი საზოგადოებისთვის შეეტყობი-
ნებია. ის უკანასკნელი გარემოება გვიტყობს
— რა ნაკლებათ არის აღძრული ჩვენში საზო-

გადო საქმეების ინტერესი და რა ცოტა მნიშ-
ვნელობას აძლევს, სამწუხაროთ, ჩვენი საზო-
გადოება ბეჭდვასა. მაგრამ ახლა ამასვე როდი
გვინდა მკითხველთან მოლაპარაკება...
ძლიერ, ძლიერ სასიამოვნოა საზოგადო
პურის მალაზიების გახსნა, და ჩვენი საზოგა-
დოება მმართველობას უნდა უმადლოდეს
ამ საქმის სისრულეში მოყვანისთვის; თუ არ
მმართველობა, ვინ იცის, როდის მოითქ-
რებდენ ჩვენი გაუნათლებელი გლეხ-კაცები
ამ საქმის დაწყებას, ან ჩვენი განათლებულები
როდის მოიგონებდენ, რომ ჩაგონებინათ
გლეხებისთვის, რომ პურის მალაზიები მათ-
თვის ძლიერ სასარგებლო რამ იქნებოდა.

ზემა-მოყვანილი შენიშვნებიდან ჩვენ ვერ
ვტყობულობთ, სამწუხაროთ, ვერც იმას — თუ
როგორ და რა დროს შეაქეთ გლეხებს
მალაზიაში პური, ვერც იმას — შეძლებულსა
და ღარიბს გლეხს ერთნაირათ მიაქვს პური
ამ მალაზიაში, თუ მეტ-ნაკლები-შეძლებისა
დაგვართ, ვერც იმას — ვის ხელშია მალაზია და
რა ზედამხედველობა აქვს სოფელს იმის
გამგებებაში. მაგრამ დავეყვაროდეთ იმი-
თაც, რაც ვიცით. ჩვენთვის იმ ამბავის
შეტყობაც კმარა, რომ პურის მალაზიები,
ბორისა და ახალციხეს გარდა, თფილისის
გუბერნიის ყველა უეზდებში გაუმართათ.

მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ საქმე დაწყებაში
კი არ არის; ბევრი საზოგადო და კეთილი
საქმე დაუწყეთ ჩვენში, მაგრამ ბოლო ვერ
გაუტანიათ, რადგან ჩვენს საზოგადოებაში
არ ამოჩენილან ისეთი პირები, რომელთაც
გულმხურვალეთ მიეღოთ მონაწილეობა ამ
საქმეში და მოენდომებინათ იმის შეკიდრათ
დაფუძნება. მთავრობამ გახსნა პურის მალა-
ზიები; იმას არ შეუძლია მუდამ ყური უგდოს
ამ საქმეს; იმას უიმისოთაც ბევრი საქმე და
ზრუნვა აქვს. ახლა თვითონ სოფლის საზო-
გადოებები არიან ვალდებულნი ყური ადიე-
ნონ, რომ ერთხელ დაწყებულ საქმეს უნაყო-
ფოთ ბოლო არ მოეღოს. პურის მალაზიების
გამართვა პირდაპირ სოფლის საქმეა: სოფელსა-
ვით არა ვინ არ იცის, რასაკვირველია,
თვითოველი თავის გლეხის შეძლება, იმისი
დაჭირება და საზოგადოთ ყოველი გარემოება;
და თვითოველმა სოფლის გლეხმაც ამ შეძ-
ლებისა და დაჭირების დაგვართ უნდა მიიღოს
პურის მალაზიაში მონაწილეობა.

რა მონაწილეობა უნდა ჰქონდეს ყოველ
გლეხს ამ საქმეში?

პირველი ის, რომ ყოველი გლეხი პურის
მალაზიას უნდა უყურებდეს როგორც თავის
საკუთარ საქმეს; ის დაწესებული უნდა
იყოს, რომ, თუ მალაზიის საქმე კარგათ წავა,
მაშინ იმასაც შეუმსუბუქდება გაჭირებული
მდგომარეობა, მაშინ ის აღარ იქნება იძულებ-
ული წელიწადში თუმანში თუმანი და ხან
მეტეც მისცეს სარგებელი, იმისთვის რომ
პური იყიდოს ზამთარში, ან გაზაფხულზე,
როცა შემოვლენა. შამისოთ, თუ ყოველი, გან-
ცალკეებულ გლეხი არ მიიღებს ამ საქმეში
მხურვალე მონაწილეობას, დაწესებული
იყავით, რომ საზოგადო პურის მალაზიები
ვერასოდეს ვერ იხიერებენ.

შეველია, რომ თავის მწვერების ყურად-
ღებას და მონაწილეობას მაშინ მიიქცევს სა-
ზოგადო პურის მალაზია, როცა კარგათ და
სამართლიანათ არის გამართული. თუ გლე-
ხები დინახვენ, რომ მალაზიას ცუდათ განა-
გებენ; თუ ისინი დარწმუნდენ, რომ მალაზი-
ის გამგებლები საზოგადო პურით თვითონ
სარგებლობენ, ან მიდგომით მიჰყავთ საქმე,
მაშინ, რასაკვირველია, ყველას აუჯარდება
გული, არაეინ არ შეიტანს პურს თავის დრო-
ზე, არაეინ არ გადხდის ნასესხს და ამ ნაი-
რათ საქმე დაირღვევა. მეგრე, რა ცუდია, რო-
ცა რომელიმე ახლათ დაწყებული, სასარგებ-
ლო საქმე პირველშივე ვერ იხიერებს! უნდა
იცოდეთ, რომ იმ საქმისვე ხელმეორეთ და-
წყება შემდეგში დიდს გაჭირებთ შეიძლე-
ბა. შევლა დაწყებს ყვირილს: „ერთხელ კი
არ უნდოდათ იმის გაკეთება, მაგრამ ვერ მო-
ახერხესო. არა, ეს ჩვენი საქმე არ არისო!“
მასადაც ამ საქმეს და საზოგადოთ ყოვე-
ლი კეთილი საქმის ცუდათ წყევანისათვის
ჩვენ, არა თუ მართა ჩვენი თავის წინ, ჩვენი
შთამომავლობის წინაც პასუხის-მგებელნი
ვართ.

ამიტომაც საჭიროა, რომ პურის მალაზიე-
ბის საქმე თავიდავე კარგათ წავიდეს. ამი-
ტომაც ყველა, ვისაც კი გული შესტკივა
გლეხების ცუდი მდგომარეობისათვის, უნდა
სცდილობდეს, რომ, რითაც შეუძლია, ხელი
მოუშარტოს ამ საქმეს. შევლაზე უფრო კი
მალაზიების წარმატება თვითონ სოფლის სა-
ზოგადოებაზე დამოკიდებული, რომელსაც
მინდობილი აქვს იმის გამგება. თუ ისინი
თავიდავე ისეთ სამართლიან კანონებს დაა-
გენენ და ყველა ეცდება ამ კანონების აღ-
სრულებას, მაშინ, უეჭველია, საქმე კარგათ
წავა და გლეხები ცხადათ დინახვენ — რამდენ-
ი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ, ერთი
შეხედვით, სულ უბრალო საქმესა.

იქედი გვაქვს, შემდეგში კიდევ მოუბრუნ-
დებით ამ საგანს და მაშინ მოვილაპარაკებთ
ამის პრაქტიკულ მხარეზე, ე. ი. იმაზე თუ
რა საფუძველზე და რა ნაირ დებულებებზე უნ-
და იყენენ ჩვენში დამყარებულნი პურის მა-
ლაზიები, რომ ერს შესაფერი სარგებლობა
მოუტანონ.

მეორე სასიამოვნო ამბავს, რომელიც ჩვენ
ამ სტატიის დაეში მოვისხენდეთ, მკითხველი
უფ. შორაპნიელის კორესპონდენციიდან შე-
იტყობს. აქ ვიტყვით ჩვენ მხოლოთ, რომ
ქუთაისში, როგორც ჩვენ კორესპონდენტ
გაუგონია, უფ. ლუბერნატორის მოწვევით,
ყოფილა კრება იქაური უეზდების მმართვე-
ლებისა, რომელშიაც მიუღია მონაწილეობა
აგრეთვე გიმნაზიის დირექტორს და სახალხო
შკოლების ინსპექტორს. ამ კრებაზე ყოფი-
ლა მოლაპარაკება ქუთაისის გუბერნიის სა-
სოფლო შკოლების გამართვაზე, და ერთ-
ხვით გადაწყვეტიათ, რომ ყოველ საზოგა-
დოებაში თითო შკოლა უნდა გაიხსნას, თეი-
თონ სოფლების ხარჯით, და საშუალებაც
მოუწახვით მასწავლებლების ჯამაგირისათვის.
თუ მართალია ეს ამბავი (და ჩვენ არა გვაქვს
მიზეზი — არ დაუჯეროთ კორესპონდენტს),

მაშინ ის თითქმის პურის მალაზიებზე უფრო
სასიამოვნო რამ იქნება, თუ, რასაკვირველია,
ამ შკოლებში თადარიგინათ და პედაგოგიუ-
რათ წაიყვანეს სწავლის საქმე. ამ შემთხვე-
ვაში იმ სახელმძღვანელოებს, რომლებზედაც
წინანდელი „დროების“ მოწინავე სტატიაში
რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი, კიდევ მო-
ემატებათ მნიშვნელობა.

თფილისიდან „ნოვოროსიის ტელეგრაფში“
იწერებინა:

„მმართველობის განკარგულებამ, რომ ყო-
ველ წოდების პირი უნდა გამოიწვიოს სამ-
ხედრო სასახურშიო, ალაპარაკა ჩვენი საზო-
გადოება. ზოგიერთი სომხის ეპიტები, რომ-
მელთაც რომელიმე სამსახურით მიუღიათ თი-
თო-არორო ჩინი, დარწმუნებული იყენენ,
რომ იმათი შეილები მომავალში დაცულნი
იქნებოდენ ყოველ მოულოდნელ შემთხვე-
ვისაგან; მაგრამ ახლა უეცრათ, ვინ იცის, იქ-
ნება სამხედრო სამსახურშიაც წაიყვანონ. ის რა
დრო მრვიდა, რომ ვერც ახალურის ღირსებით
და ვერც უფლებით ვერ დაიხსნის კაცი თავს ამ
სამსახურისაგანო? ნუ თუ მართლა სასწავლე-
ბელში უნდა მიეცე გაყო! მეგრე ვინღა ივაჭრებს
დუქანშიო? და სხვა ამისთანა სიტყვები ხში-
რათ ისმოდა აქ. არ ვიცო — მოემბატა თუ არა
მოსწავლეები აქაურ გიმნაზიებს; სტაეროპო-
ლის ეპიტებმა როგორც შეიჩყვეს თურმე ტე-
ლეგრაფშით ეს ამბავი, იმ წამსვე თავის შეი-
ლები გიმნაზიაში შეიყვანეს. შეველია, ჩვე-
ნი ეპიტებიც ასე იხმენ. — ამ ნაირათ, ეს ახა-
ლი სამხედრო რეფორმა იმას გარდა, რომ
მოსაპობს იმ უსამართლო ძველ წესს, რომ
ლოთაც ოთხ ნახევარი მილიონი მცხოვრებ-
ლები, რომელნიც სარგებლობდენ სხვა და
სხვა ლგოტებით და უპირატესობითა, რომელ-
თაც დანარჩენ მეროპის რუსეთთან ერთი უფ-
ლება ჰქონდათ, მაგრამ მოვალეობა კი არა, —
იმ სარგებლობას მოიტანს კიდევ, რომ აქაურ
სომხებს ძალა-უნებურათ მიაცემინებს შეილებს
სასწავლებელში. **101. № 47.**

მართს რუსულ გაზეთში აირას სწერენ აფ-
ხაზეთზე: „სანამ რუსის მმართველობა არ და-
ფუძნდა აფხაზეთში, მანამ იქაური მცხოვრე-
ბლები თითქმის სრულიად არ უგდებდენ ყურს
მეურნეობას. დაფუძნდა თუ არა რუსობა,
აფხაზეთმა იმ წამსვე მოჰკიდეს ხელი ოჯახო-
ბას და ახლა, არა თუ მართა თავის საჭირო-
ებისთვის, გასასყიდათაც კი მოჰყავთ: მჭა-
ლი, ბრინჯი, სელი და სხე. იმედიოა, სწერენ
ამ გაზეთშივე, რომ, როცა მიწის საქმეები გა-
თავდება ამ მხარეში, მაშინ მეურნეობა კიდევ
უკეთ წავა და საზოგადოთ ზნეობით და მა-
ტერიალურ წარმატებაში შეეღვენ მცხოვრებ-
ლებიო.“

პეტერბურში ყოველ წელიწადს მმართვენ
ხოლმე ვახშამს ის პირები, რომელთაც
ერთ დროს ძავესიაში უმსახურნიათ, ან ისე
უცხოვრიათ. წელსაც იყო ამისთანა ძავესია-
ული ვახშამი, რომელზედაც უფ. ხოლოტა-

ჩვენი აღმოსავლეთის (ბერმანისაყენ) კარები სრულიად ღია იქნებოდა და როცა უნდათ, მაშინ შემოვლენ ნემსებიცაა შემეტყვი ნაწილი ნემსებიცაა გახეთქისა კი იმას ამბობდნენ, ხანამ მღვდელსა და ნახევარ ლატარინგისა არ მოგვეცემენ, მანამ რომანობა არ უნდა შესწყდეს.

— ლენერალმა ტროშუმ 9 (12) თებერვ. გამოცემა პარიჟში პროკლამაცია, რომელშიც ამბობს; რომ, კონვენციის ძალით, პრუსიელთა არა აქვთ უფლება პარიჟში შემოვიდნენ; კონვენციის ნათქვამისა, რომ შტური პატრისციტებით მოგვარება შეწყობულ და დამშეულ ხალხს და ძალდატანებით არაფერს არ მოიქმედებს. პარიჟში ნემსების ჯარის შემოსვლა კი ძალდატანებით საქმი იქნება, ის შეურაცხყოფს საფრანგეთს. ჩემი აზრით, ამბობს ტროშუმ, პარიჟმა უნდა დაკეტოს თავის კარები; დაე, ზარბაზნებით შეამტრონ ისინი პრუსიელთაგან.

— ბორდოს ნაციონალურმა პრეზამ მიიღო პარიჟიდან შემდეგი განცხადება: ჩვენ პარიჟში მცხოვრები ვინაობები და ლატარინგელები, რომელნიცა ერთ ნამდვილი გამომითქმელი ხმა მოკლებული ლატარინგისა და მღვდლის მცხოვრებლების გარდახმისა, მთელი საფრანგეთისა და განათლებული ქვეყნის წინ გიცხადებთ, — რომ ჩვენ ერთ ფრანკულს და გესურს დავრჩეთ ფრანკულსებათ, რომ ჩვენი აზრით, არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩვენ დაუკითხავთ, განაგებდეს ჩვენ სეეს; ამ თავითვე ეცხადებთ, რომ საფრანგეთის ნაციონალურ პრეზამ არა აქვს უფლება ვისმე მისცეს მღვდლისა და ლატარინგისა; ეს იქნება ნაციონალური კრების მხრით, ცალკე მთელი საფრანგეთისა და ცალკე საკუთრივ ჩვენი შეურაცხყოფა და იგივეთნ ძრების ვალდებულების შემსუგრა. ბაუმარჯოს საფრანგეთს! ბაუმარჯოს ერთსა და განუყოფელს რესპუბლიკას! შევლა იმათ, ვისთვისაც სამართლიანობა და თავისუფლება ძვირფასია, ეთხოვთ ხელი მოგვიმართონ ჩვენ ამ საქმეში.

ტიერს უთქვამს, რომ მრდენის პრინციები თუ მოვიდნენ ბორდოში, მე სამსახურს თავს დაგანებებო. მაგრამ ისინი მინც იყვნენ ბორდოში და უნდადნენ ნაციონალურ კრებაში მონაწილეობა მიეღოთ, როგორც დეპუტატებსა. ტიერის გამოცხადების შემდეგ, მრდენის პრინციები წასულან ბორდოდამ.

ბამბეტა და რომაორი, როგორც ამბობენ, ძალიან უკმაყოფილოთ არიან ახლანდელ ნაციონალურ პრეზამ. ბამბეტა, მალე ისეთი წიგნის გამოცემას აპირებს, რომელშიც უკანასკნელ საქმეებში ბრალს პარიჟის მმართველობის პირებს ადებს.

— პარიჟიდან ოფიციალური ცნობა მისულა ბორდოში, რომ რამდენიმე ნაწილი პრუსის მეექვსე და მეთერთმეტე კორპუსებისა და ბავარიის პირველი კორპუსის ავანგარდები 18 თებ. (1 მარტს) შემოვიდნენ პარიჟში. წინეთ ხალხი და გახეთქი ძალიან გაცხარებულნი იყვნენ ამზე, ასე რომ ზოგიერთები ამბობდნენ, სიკვდილი უნდა გვერჩიოს ამისთანა შეურაცხყოფასა. სენ-ჰერმენის უბნის მცხოვრებლები ყველა შეიგებნენ დაიარებნენ თურმე; ისინი ურჩევენ პარიჟელებს, რომ ფანჯრები დაკეტეთ და ქუჩაში ნუ გამოჩნდებით, როცა ნემსების ჯარი შემოვიდესო. ზოგიერთი პარიჟელები თხოულობდნენ, რომ ქუჩის ქვეში, რომელზედაც ნემსები გაივლიან, უნდა ამოვდელიჯოთ და გადაეყარათო, რომ არაფერი არ მოგვეგონებდეს ჩვენ იმათ პარიჟში ყოფნას და ჩვენ დამცირებასო. სულ 30,000 კაცი უნდა შესულიყო პარიჟში; ისინი დაიჭრდნენ მხოლოდ ქალაქის ერთ უბანს და მოხდებოდა თუარა მორაგება, ისე უნდა გავიდნენ პარიჟიდან.

— მართს გახეთქს სწერენ, რომ ამ რძინ-

ნობის განმავლობაში მარტო საფრანგეთს მოაკლდა 800,000 კაცი. შემეტყვი ნაწილი ამ რიცხვისა დიტყვევებული არის ბერმანიაში, საიდანაც, მორიგების შემდეგ, რასაკვირველია დაბრუნდებიან; და მაშინ საფრანგეთს ეყოლება რარი იმდენი ჯარი, რამდენიც რომანობამი ჰყავდა. რაც შეეხება ბერმანიას, რომელიმანც ერთი მილიონი (1,000,000) ჯარი გამოიყვანა ბრძოლას ეტლზე, იმის ზიანი შეადგენს, იმათვე ანგარიშით 150,000 კაცს, მაგრამ ნამდვილი კი, უეჭველია, მეტი იქნება. ასე რომ ბერმანიის სამხედრო ძალა რამის შემდეგ ძალიან დასუსტდება. — მარტო იანერის განმავლობაში, ნემსებური გახეთქის ანგარიშით, არ რამდენი ზიანი მისცემია ფრანკულსის ჯარს, ლენერალ რუას ჯარიდან წაუყვანიათ ტყვეთ — 12,000 კაცი, მანის ჯარიდან — 24,000, ჟედერბის ჯარიდან — 11,000, ბურბაკის — 30,000; შვეიცარიაში დაუტყვევებიათ — 80,000-ზე მეტი. სულ შეადგენს — 157,000 კაცს. ამას უნდა მიუმატოთ კიდევ მოკლულებისა მძიმეთ დაჭრილების რიცხვი: მანის არმიის იყო — 10,000, ჟედერბის არმიის — 8,000, ბურბაკის — 15,000, პარიჟთან რომ რამდენჯერმე შეტაკება იყო, იქ დიხიცა და დაიჭრა — 7,000 კაცი. სულ დაჭრილებისა და დაზარალების რიცხვი — 40,000. ამნაირათ მარტო იანერის თვეში ფრანკულსებს მოაკლდათ (ტყვეები, დაჭრილები და დაზარალები) — 200,000 კაცი. ამას რომ ის 150,000 კაცი მიუმატოთ, რომელიც პარიჟშია დიტყვევებული, შესდგება 350,000 კაცი; ახლა რამდენი ზარბაზანი, რამდენი თოფი და სხვა იარაღი...

— „მელნის ზავითის“ კორრესპონდენტი იწერება მერსალიდან, ფრანკულსენი დარწმუნებული არიანო, რომ ახლანდელ პრუსიასა და საფრანგეთს შუა მორიგებას დროებით ხალხათი აქვსო; ხუთი წლის შემდეგ უთუოთ ისევე ასტყდება სამინდელი ბრძოლა ამ ორ სახელმწიფოს შუაო. საფრანგეთი თავის დღეში ვერ მოითმენსო, ამბობენ ფრანკულსები, რომ მღვდლისა და ლატარინგის ნემსების ხელში ხუთ წელზე მეტს დარჩესო. ხუთ წელს იმიტომ ამბობენ, რომ ეს დრო, იმათი აზრით, სრულებით საქმეა საფრანგეთისთვის ხელახლად საბრძოლათ რომ მოემზადოს და ახლანდელი დამარცხების სამაგიერო გადაუხადოს ბერმანიას.

— ამბობენ, რომ მორიგების შემდეგ რადიკალურ პარტიას უნდა სთხოვოს პრუსიის კოროლს, რომ ნაპოლეონი გადმოსცენ საფრანგეთის მმართველობას, რომელსაც იმან, როგორც რეინის არმიის უფროსმა, უნდა წარუდგინოს თავის მოქმედებებს და განკარგულების ანგარიში. ამ წინადადებას ნაციონალურ პრეზამში შეიტანენ მიქტორ-ჰიუგო, ლუი-ბლანი და რომაორი, რომელთ მხარეს, ამ საქმეში, 150 სხვა დეპუტატები დაიჭრენ.

— ლონდონიდან არის 1 მარტ. ცნობა, რომ ბერმანის ჯარი რომ შევიდა პარიჟში, იქ დიდი არეულობა მოხდა: ხალხს და ნაციონალურ გეარდისა არ უნდადნენ შეეშვა ნემსები პარიჟში; ნემსები კი იჭერებიან, რომ არაფერი არ მოხდარიან.

— მისი კანონის ძალით ბრძოლის დროს დიტყვევებულები დამწყვედულნი კი არ არიან, ისინი თავისუფლათ ცხოვრებენ რომელსამე ქალაქში, მხოლოდ „პატიოსან სიტყვას“ ჩამოართვევენ, რომ არ გაიქცვიან. მინც გაიქცევა და თავის სიტყვას არ ასრულებს, თუ ხელმწიფოთ დაიჭრეს, დახვრდენ. ამ ნაირათ იყო ლენერალი ლიუკოს საქმე, რომელიც, როგორც ნემსები ამბობენ, დატყვევებული იყო სედანთან, მაგრამ გამოიქცა პარიჟში და ხელმწიფოთ დაიჭრა ჩვენთან ბრძოლაში. ამის გამო, ახლა ბისმარკი და მოლტკე მორიგების პირებში სხვათა შორის თხოულობდნენ თურმე, რომ ლიუკო მოგვეციოთ, (რასაკვირველია, დასასჯელათ უნდათ). მაგრამ მინუამ მისწერა ლიუკოს, რომ, სანამ შენ პარიჟის არმიის წინამძღოელი ხარ, მაშინ არ შეგეშო. ამზე ლიუკომ მისწერა, რომ

მეტი კაცის სიცოცხლისათვის საზოგადო სიკეთეს არასოდეს არაფერი არ უნდა დააკლდესო, დაუნდა სამსახურს თავი და მოეღოს, როცა გავაზიან მერსალში, ნემსებთან.

უსხო ქვეყნები საზრანგეთი

ამჟამად ბორდოში გაცხადებული პოლიტიკური ბრძოლა თურმე სხვა და სხვა პარტიებს შუა. მრდენისტიები, ბურბონები და რადიკალური პარტიის დეპუტატები ცალკე ცალკე იკრიბებიან თურმე და აქეთ ერთმანეთში მოლაპარაკება იმაზე — თუ როგორი პროგრამით უნდა იმოქმედონ იმთ ახლან ნაციონალურს ძრებაში. სხვათა შორის რადიკალურ პარტიას ჰქონია კრება 19 თებერვალს იმაზე — თუ როგორ უნდა იმოქმედონ ნაციონალურ ძრებაში დემოკრატებმა. ამ პარტიას თავის საკუთარი ბიურო (საზოგადოება) შეუდგენია, რომლის პრეზიდენტათ მიქტორ ჰიუგო ამოურჩევიათ, ვიცე-პრეზიდენტებათ — ლუი-ბლანი და შელსერკ, მკერეტრებათ — მარლ ჟოკე და ბრისონი, და კანსაჩით — მლეინსო. ამ სხდომაშივე შეუდგენიათ აღრესი, რომელიც მღვდლისა და ლატარინგის წარმომადგენლებს უნდა გაუგზავნონ. ამ აღრესში, რომელიც თავის პარტიის მხრით, ბრისონმა უნდა წაიკითხოს ნაციონალურ ძრებაში, სხვათა შორის გამოცხადებულა, რომ საფრანგეთს ერთი ნაჭერი მიწაც არ უნდა ჩამოეცალოსო, რომ ნაციონალურ ძრებას არა აქვს უფლება დაუთმოს მტერს პროვინციები, რომელთაც თავის თავგანწირულებით და უთვალავი მხნეობით, დაუმტკიცა ქვეყანას, რომ იმას არა ჰსურს საფრანგეთს მოშორდეს. — ამ ჟამად რადიკალური პარტიის მომხრეების რიცხვი ნაციონალურ ძრებაში სულ 50 კაცი თუ იქნება; მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკელებს, რომელნიც უწინ ჰულ-სიმონს მიემხრენ, ამ უკანასკნელ დროს გამოუცხადებიათ, რომ ისინი რადიკალების მხარეს დაიჭრენ, ასე რომ მოკლე ხანში რადიკალურ პარტიას ნაციონალურ ძრებაში 100 მომხრე-დეპუტატი ეყოლება. ამ პარტიის წინამძღოლებათ ლუი-ბლანი და მიქტორ-ჰიუგო არიან. მრდენისტიების (უმეტესობის) პარტიის მოთავე ტიერია.

ტიერსა და ბისმარკს მორიგებაზე მოლაპარაკების დროს, ჰქონიათ აგრეთვე სხვა იმაზე, რომ შემდეგში ბერმანია და საფრანგეთში ყოველ საქმეში ერთათ უნდა მოქმედებდნენო. არც მრდენის პრინციებსა და არც ბურბონისას, თუმც ისინი ამოჩივდნენ არიან დეპუტატათ, მაგრამ არ მიიღებენ ნაციონალურ ძრებაში, სანამ იმ კანონს არ მოსაზრდენ, რომლის ძალით ისინი სამუდამოთ გავდებულნი არიან საფრანგეთიდან. ამბობენ, ნაციონალურ ძრებას უნდა აგრეთვე დაადგინოს კანონათ, რომ არც ერთ ბონაპარტის გვარის შთამომავალს არ ექნება უფლება საფრანგეთში ცხოვრებისაო.

— ამბობენ, რომ ტიერი ძალიან ბევრს მუშაობს და რადგანაც ის მოხუცებული კაცი, ძალიანაც დიდალაო. ამზე აი რას ამბობს ერთი ბელგიური გაზეთის კორესპონდენტი: „ძალიან სამწუხაროა, რომ ახლანგანდა საფრანგეთის რესპუბლიკამ სამოკლავნეტო წლის მოხუცის მეტი ვერაფერ მოახა ისეთი თანამდებობისთვის, რომელიც ტიერს უჭირავს. მაგრამ ახლა ისეთი დროა და ისეთი პოლიტიკური აზრების პატრონი კაცი სჭირია საფრანგეთს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტობისთვის ისევე ტიერი სჯობია სხვებსაო.“

— რამდენათ სულთა ახლანდელ ნაციონალურ ძრებაში რესპუბლიკელების პარტია და როგორც გადმოვიდა მონარხისტიებისა, — ამში გეარწმუნებს ჩვენ ის გარემოება, რომ მრდენისტი და ბურბონის დინასტიების მომხრეებს შუა ახლა მოლაპარაკება აქეთ იმაზე — თუ ვინ უნდა დაესვათ საფრანგეთის ტახტზეო. 150 დეპუტატზე მეტი მონარხისტიები არიან თურმე ახლა ბორდოში; იმათ გადაუწყვეტიათ, რომ ჯერ გრავ შამპორი (ბურბონის დინასტიისა) დასვათ ტახტზეო და; სიკვდილის შემდეგ, ის პარიჟის გრავს უნდადრეყდეს საფრანგეთის ტახტსაო. მართალია, საფრანგეთის ხალხი ახლა, რომანობის გამო, სულ დატყვევულია ზნეობით და მატერიალურათ,

რომ მშვიდობიანობისა და თავის გაჭირებულო მდგომარეობის გაცხადებულ შემთხვევებში არაფერს არ დასდებს და სხვათაგან მმართველობის ფორმას, როგორც კი ამ ახალმა მმართველობამ მშვიდობიანობა მონაპოს იმას, — მაგრამ ერთ დროს კიდევ გაიღვიძებს ეს ხალხი და არაფერს არ მისცემს ნებას, რომ იმის და დაუკითხავთ თავზე დაჯდეს.

— მართს კრებაზე ვილა: ბალიარი უმტიცებდა პარიჟის ამომრჩეველებს, რომ ახლანდელი საფრანგეთის მმართველნი თორმეტი ათასკები არიანო, რომელთაც გავყიდეს პარიჟი; ის ურჩედა ამომრჩეველებს, ნაციონალურ კრებაში ისეთი დეპუტატები ამოჩივით, რომელთაც იმის გავრძელება ჰსურათო.

— ლენერალმა ტროშუმ გამოაცხადა, რომ იმას არა ჰსურს ნაციონალურ ძრებაში დეპუტატობა და გახეთქებში შემდეგი წიგნი დაბეჭდა: „ლორებითა მმართველობის პრეზიდენტობა იმიტომ ვიკისრე მე, რომ ჩემ თავს ვალდებულათ ვრაცხდი ამხანაგებთან ერთად ვამეწია ის უღელი, რომელიც საფრანგეთის მდგომარეობამ დაგვადეა ჩვენა. ახლა სულ სხვა გარემოებებია და მე ჩემი ვალდებულება ვაქვითა; ამიტომაც საზოგადო საქმეებში აღარ ვავერევი.“ — ლენერალმა ლიუკომაც აგრეთვე გამოაცხადა, რომ იმას არა ჰსურს ნაციონალურ ძრებაში დეპუტატობა.

— ბრევი ნაციონალური ძრების პრეზიდენტათ ამოირჩიეს; მარტელი (ბონაპარტისტი) და მეღელი (ორლენისტი) — ამ ძრებისავე ვიცე-პრეზიდენტებათ.

— მართს ნემსებური გახეთქი სწერენ, რომ როცა ფრანკულსის ჯარი, პარიჟის კაპიტულაციის პირობის გამო, ფორტებში უკან დაბრუნდა და პარიჟში შედიოდა, ხალხი დაუხვდა ამ ჯარს, წყველიდა და ჰყვიროდა: „დასწყველა ღმერთა ჩვენი მოლაპარაკებები! მოგეშორდნენ ისინი თავიდან, ვინც ჩვენი პარაჟი პრუსიელებს მიჰყიდაო!“ ასე რომ ჯარი იტყუებული იყო იარაღი ეხმარა თავიანთივე თანამოქალაქეების წინააღმდეგ. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ხალხი დარწმუნდა, რომ ვერაფერს გააწყობდა და დამშეულდა.

— ზაზ. „თამისი“ ამბობს, რომ საფრანგეთში ამჟამად არც იმპერია და არც ისეთი რესპუბლიკა, როგორც ბამბეტას ჰსურს, არ მოხერხდებაო. ჰუგოზე უფრო ახლოაო, რომ იქ დაწელება ისეთი რესპუბლიკა, რომლის პრეზიდენტათ მალის ლერკოგი (ბურბონის დინასტიის) უნდა ამოირჩიონო. მაგრამ იმან წინათვე უნდა შეჰფიცოს ხალხს, რომ კონსტიტუციას არ დაარღვევს და ხელმწიფეთ დაჯდომას არ მოინდობებს. — ნაპოლეონმა კი არ შეჰფიცა ხალხს, მაგრამ რა გამოვიდა!...

ახალი სამინისტრო საზრანგეთში

მოგვეყვას შემოკლებული ბიოგრაფია იმ პირებისა, რომელნიც შეადგენენ ახლან საფრანგეთის ახლანდელ მინისტროს:

იუსტიციის მინისტრი — დიუფორი (დაიბადა 1798) ეს მეოთხეთ არის მინისტრათ. 1848 წ. ის იყო „ზომიერი დემოკრატების“ წინამძღოლი; ამდროის ცდილობდა მრდენისტიების დინასტიის ტახტიდან ჩამოგდებას. ძავენაკის დროს შინაგანი საქმეების მინისტრათ იყო. შემდეგ, როცა ლუი-ნაპოლეონი ამოირჩიეს 1849 წ. რესპუბლიკის პრეზიდენტათ, ის მინისტრათ იყო, მაგრამ მალე გამოვიდა სამსახურიდან და მას აქეთ მუდამ ნაპოლეონის წინააღმდეგ პარტიაში ითვლებოდა. მას აქეთ ის ცხოვრებდა როგორც კერძო პირი. მარტო ბისმარკის მინისტრი — ლამბრეტი (დაიბ. 1819). ნაპოლეონის დროს რამდენჯერმე იყო დეპუტატათ მანონდებელი კრებაში. ის იმპროვიალისტი (ნაპოლეონი მომხრე). — საზოგადო მუშაობის მინისტრი — ლარსე (დაიბადა 1805 წ.) არისტოკრატია და ბურბონების მხარე უჭირავს; 1848 წ. იყო დეპუტატათ მანონდელი



განმარტებელ კრებაში; მაშინ გამოაცხადა იმან, რომ შეიძლება „გამოსაცდელათ“ დაეწყოთ საფრანგეთში რესპუბლიკა. 1851 წლის შემდეგ რამოდენიმე ხან ის არ გარეულა საზოგადო საქმეებში. 1853 წ. ის იყო ოფიციალურ კანდიდატად და კიდევ ამოირჩიეს პარლამენტის კრებაში, რომელიც ცხადია რომ ის შურიგდა ნაპოლეონის სისტემას.

— ზღვის მინისტრი — პოტუო თავის საქმეში კარგათ არის გასწავლული მაგრამ პოლიტიკაში და საზოგადო საქმეებში დღემდე არ გარეულა და ამიტომ იმაზე ვერაფერს ვერ იტყვის კაცი. — სამხედრო მინისტრი — ლენტილი (დაიბადა 1814) გამოჩენილი ლენტილია; პირველათ იმას ნაპოლეონის მხარე ეჭირა, მაგრამ შემდეგ ესენი ვერ მორიდდნ და ამას გამო 1851 შემდეგ, როცა ნაპოლეონი ძალით დაჯდა საფრანგეთის ტახტზე, ის განდევნილ იყო თავის ქვეყნიდან და შარშანდელი წლის 4 სექტემბრამდე ვერ ერეოდა საზოგადო საქმეებში. ღანარჩენ მინისტრებს: ჰულ-ჰაერს (გარეშე საქმეების მინისტრს) ჰულ-სიმონს (კანთლების მინისტრს) და პიკარს (შინაგანი საქმეების მინისტრს) ჩვენი მკითხველები ცოტათი მაინც იცნობენ. სამივე ესენი ზოგიერი (ბურჟუაზული) რესპუბლიკელები არიან.

გერმანია

ნემეცურ გაზეთებში სწერენ, რომ მოაწერენ თუ არა ხელს მორიგების პირობებს, კოროლი მილდელმი და აგრეთვე სხვა გერმანიის პრინციები იმ წამსვე დაბრუნდებიან ბერლინში ბრძოლის ველიდან. რამდენამდე დღეს მოიცდის კოროლი ძარღს რუგში, სადაც იმის სანახავათ და გამარჯვების მისალოცავათ გერმანიის ყველა ხელმწიფეები მივლენ. ძარღსრუგად კი პირ-და-პირ ბერლინში წავა. ბერლინში დიდი მზადება კოროლი მილდელმის მოსვლისათვის. სხვათა შორის ქალაქი უმზადებს იმას ოქროს გვირგვინს. ბისმარკი და მოლტკე 12 მარტს წამოვიდნენ მერსალიდამ და 15-ს ბერლინში იქნებიან, სადაც რეისტაგოს გახსნაზე უნდა დაესწრონ. მორიგების შემდეგ, ომში მოკლულების სახსენებელათ, მთელმა გერმანიამ ოთხ კვირას უნდა იგლოვოს.

ავსტრია და ვენგრია

ჩვენელების დემოკრატიულმა ძალებმა გამოაცხადა პროკლამაცია, რომლიდანაც ცხადთ სჩანს—თუ როგორ უყურებენ ისინი გერმანიის გაძლიერებას და საზოგადოთ ავსტრიის ნემცების სურვილს, რომ სხვა ტომის ხალხები დაიმორჩილონ. მოგვეყვს აქ ეს პროკლამაცია:

„შველამ იცის, რომ ვენგრის ნემცებს ჰსურთ გააძლიერონ ნემეცური ელემენტი ვენგრიაში და დაუმორჩილონ ამ ელემენტს სხვა ტომის ხალხებიც. ახლა უფრო გულმხურვალეთ შეუდგნენ ისინი თავის საქმეს; პრუსიის გამარჯვებით და საფრანგეთის დამარცხებით გამხრევებულნი, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ახლა მოვიდა იმათი დრო და ახლა შეუძლიანთ უცხო ხალხების დამონაგება და განემცება. ჩვენ, ჩვენელები, კი დარწმუნებულნი ვართ, რომ, ჩვენი საკუთარი საქმეების და საჭიროების გასაგებლათ, ჩვენთვის ნემცები არ არიან საჭირონი. მიიღებს რა მხედველობაში ზემოხსენებულ მოსაზრებას, დემოკრატიული კლუბი დარწმუნებულია, რომ ჩების ხალხი დაეთანხმება იმას შემდეგ გადაწყვეტილებაზე (რეზოლიუციაზე): ა) ჩვენელები ყოველთვის თვითონ ირჩევენ და შეკედებიათ თვითონვე ამოირჩევენ თავის პოლიტიკურ წინამძღოლებს. ჩებია ყოველთვის სტილიობდა და შემდეგშიც ეცდება—მოიშოროს თავიდან და უწინააღმდეგოს ნემცებს, რომელთაც ჰსურთ ჩვენელების დამორჩილება.

ბ) ჩების ნაცია ვერასოდეს ვერ მოითმენს, რომ რომელიმე ჩების ქვეყნის მიწა გერმანიის კონფედერაციაში შევიდეს. თუ ავსტრიის ნემცები მოინდომებენ ამისთანა კონფედერაციის შედგენას, ვითომ იმის გამო, რომ ორმოცი მილიონი ნემცები ერთმანეთს მიიზიდენ,—მაშინ სლავიანური ნაცია ამას გაუწევს წინააღმდეგობას მით, რომ შეადგენს იმისთანავე კავშირს (კონფედერაციას), რომელშიც იქნებიან ოთხმოცი მილიონი სლავიანები.“

ინგლისი

6 (18) თებერვალს პარლამენტის სხდომაში გერმანია შემდეგი წინადადება შეიტანა: ინგლისის მმართველობა ვალდებულია სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან ერთად ეცადოს, რომ პრუსიამ არ ჩამოართვას საფრანგეთს საკუთარი მიწები და საზოგადოთ ისეთი მორიგების პირობები არ შეაძლიოს, რომლის ასრულება ამ უკანასკნელისთვის საძნელო და დამამცირებელი იქნება. პირველი მინისტრის ლორდ მლადსტონის-რჩევით გერმანია ეს წინადადება უკანვე წაიღო და ამიტომ პარლამენტში ამ საქმის თაობაზე არაფერი არ გადუწყვეტათ. ამას გარდა მლადსტონმა აქვე სთქვა, რომ მმართველობას არაფერი არ შეუტყვეია იმაზე, რომ პრუსიელებს პარიზში შესვლა გადაუწყვეტათო, თორემ ურჩევდა იმათ, რომ არ ექცათ ამისთანა საქმეო. ამას წინეთ იმასაც კი ამბობდნო, ვითომც რუსეთსა და პრუსიას შუა კავშირი იყოსო, მაგრამ ინგლისის მმართველობა ამისთანა ხმებს არაფერ მნიშვნელობას არ აძლევს.

ამ კვირის ტელეგრაფები

ს. პეტერ., 27 თებ. ბერლინი დამ. ნაპოლეონს მიეცა თავისუფლება—სადაც ნებაეს, იქ ამოირჩიოს თავის საცხოვრებელი ალაგი.

ლონდონი დამ. თავის პროკლამაციაში ნაპოლეონი ამბობს, რომ ნაციონალურ პრებს არ შეეძლო დაეთხოვა ის საფრანგეთის ტახტიდან, რადგან ეს პრება მარტო მორიგების პირობების დასამტკიცებლათ იყო მოწყვეტილიო.

ს. პეტერ., 2 მარტს. ვერსალი დამ. ძარღს მილდელმის დეკრეტის ძალით, რეიმში და ნანში ფრანკლენის პრეფექტები (ლუბერნატორები) აღარ იქნებიან; იმათ თანადგობას ამ ქალაქებში გერმანიის ჯარის უფროსები აასრულებენ.

ნარევი

მთ მოცილილ კაცს გამოუჩინებია, რომ იმ ხუთი მილიარდი ფრანკის *) გადასახანთ, რომელიც ფრანკუზებმა კონტრიბუციით უნდა მისცენ ნემცებს, ხუთი ათასი ვაგონი მოუხდებია; ვერცხლის ფული თუ იქნაო. მთი ერთმანეთის გვერდით რომ დააწყოს ეს ფულები და ასე გააყოლოთ, ამნაირი ვერცხლის ქმარი ერთხელ შემოგრტყმის გარეშე იქნენ დედამიწას; და თითო მანეთი ამ ფულებისა ერთმანეთზე რომ დააწყოს, ისეთი სვეტი შესდებოდაო, რომ იმის სიმაღლე ორი ათას შვიდასი ვერსი იქნებოდაო. ეს ფულები რომ სულ მანათიანებ-საგან იყოს შედგარი და რომელიმე კარგი ფულის მონაგარივე კაცს დაწყოს თვლა და მუდამ დღე რვა საათის განმავლობაში ითვალს, ორმოცდა ათი წელიწადი მოუხდებოდა იმის თვლასაო!...

ამას წინეთ ერთმა ურთამ გამოაცხადა მდესაში თურმე, რომ შრისტეს სარწმუნოება მინდა მივიღოო. რასაკვირველია, იმ წამსვე დიდის სიამოვნებით წაიკუნეს კასკი-იში და მონა-ლეს კიდელა. მაგრამ, წარმოვიდინეო, ნათელის შემდეგ, იმსთან მივიდა პოლი-

*) ჩვენებურ ფულზე ხუთი მილიარდი ფრანკი შეადგენს ათას ექვსას მილიონ მანეთზე მეტსა.

ციის ჩანოვნიკი და წაიკუნა საყოფილოში. თურმე, ნუ იტყვიო, ამ ურთას წინეთ რადც ცუდ-კაცობა მოეხდინა და მონათელი უნდოდა თურმე თავი დაესხნა... * * * * * ამბობენ, ვითომ ერთ ნემციუს აფიცარს მოედომები-ნის მერსალში, ფრანკლენის ნაპოლეონის ცოლის გაუბატონება. ამ დროს მოვიდა თურმე ქარი, კარგა ლაზათიანათ სცემა მოარბიეს. და მერე წაივლო ხელი და ფანჯრადმ გადასრლოო. მაკარი იმ წამსვე დაიჭრეს და დახვრეტას უბრებდნენ, მაგრამ ეს ამბავი პრუსიის ტახტის მემკვიდრეს შეეტყო, ვაჭარი გაეთავისუფლებია და მის ნაცვლათ აფიცარი დაესჯა.

ნაპოლეონი მიდის მილდელმსკედამ 28 თებერვალს; ის გაუგზავნება შევიცარისკენ, სადაც თავის სახანღეში დადგება და სადაც ამ მოკლე ხანში იმის ცოლი და ვაჟიც მივლენ.

ნემეცურ გაზეთებში სწერენ, რომ ყველა გერმანიის სალდათებს, რომელიც ამ ომში იყენენ, ჯილდოთ დაურთებენ რკინის ჯვრებსაო; ეს ჯვრები იმ ხარაზნებისგან იქნება ჩამოსხმული, რომელიც ნემცებს ფრანკუზებისთვის წაურთმევიათო.

მრთს რუსეთის გუბერნიის უფლის ქალაქში სტანის პრისტავს ახირებული საშუალება მოუგონა დანაშაულობის გამოსაკვლეკლათ; ერთს იმის ხელმძვერთ სოფელში უნახავთ ახლათ დამდებული ბავში, მინდორზე დადებული; ეტუბოდა, რომ ის ვილასც დაეღწია. პრისტავმა მოსაზრა, რომ ეს დანაშაულობა უთუოთ არმიოების ნაყოფია და რომელიმე სოფლის ახალგზდა ქლის საქმე უნდა იყოსო. მაგრამ, რომლის, როგორ შეეტყო? აი რა ქნა: მოუყარა თავი ყველა ახალგზდა გასათხოვარ ქალებს და უბრძანა— მოწყველო! მაგრამ, საუბედუროთ, არც ერთს არ გამოსდინდა რძე და ამ რიგათ ეს უბარი საშუალება ვერ გამოადგა უუ. სტანის პრისტავს.

მრთს იუმორულ გაზეთში მოყვანილია შემდეგი მუსაიფი ორ პირს შუა:

— რათ გრძელდება ამდენ ხანს ეს ომი? არცეცი, რა უნდოთ მემარ მხარეებს? მკითხულობს ერთი მომუსაიფეთავანი.
— უნდათ, რომ დაურღვეველი და მკვიდრი მშვიდობიანობა დააფუძნონ! უპასუხებს მეორე.
— რა საჭიროა მიიწვა და მაინც მკვიდრი მშვიდობიანობა? ის არა სჯობია, როგორც იქნება, დროებით მაინც მორიდდნენ?
— არა, მკვიდრი და დიდი ხნის მორიდება იმიტომა ორივესთვის საჭირო, რომ რიგაანათ და აუჩქარებლათ მოემზადონ მომავლი ომისთვის.
— ახალი ომიანობა რაღა საჭირო იქნება?
— იმისთვის, რომ ხელმეორეთ მკვიდრი მშვიდობიანობა დააფუძნონ!..

ამ ნაირათ, გაუთავებლივ: ომი მშვიდობიანობისთვის არის საჭირო და მშვიდობიანობა ომისთვისო...

პარიზში ამას წინეთ ერთი ახირებული ფოჩტა მოსულა, წიგნებით სავსე, აი რა ნაირია ეს ახალი ფოჩტა. მრთის მსუბუქი მეტალისგან, ცინკისგან—გავეთებულია დიდი ბურთით, რომელსაც ორივე მხრით ფრთები ასხია. შიგნით ეს ბურთი ცარიელია და იქ წიგნების და გაზეთების ჩასაწყობი ადგილია. ეს ბურთი ისეთი სუბუქია, რომ წყალში არ დაძირავს. დაამზადებენ თუ არა ამ გვარ ფოჩტას, ჩაუშვებენ წყალში; ქარი ფრთებში უბერავს, როგორც ქარის წისქვილს, და დიდის სიჩქარით მიაქვს, საითაც ქარია და წყალი მიდის. მრთი ამნაირი ფოჩტა ამას წინეთ ამოუღლიათ სენილამ, რომელსაც პრავინციიდან მოუტანია, იმ დროს როცა პარიზი ნემცებით გარეშე იყო შემორტყმული.

პლავირის არაბელების წინამძღოლმა—აბდელ-კადერმა-შემდეგი წიგნი გამოაუგზავნა ამას წინეთ ბარდოს მმართველობას:

„დიდება ერთხა ლმერთსა! იმათ უაღმატებულებას, ბარდოს მმართველობის წყევებს—ლმერთმა შევიწიოს იმათ და გამარჯვება მიანიჭოს! მქვენ ვაკუნობთ ჩვენ,

რომ ზოგიერთმა მოლაღტეებმა ჩვენი სახელობა და ბეკედით ისარგებლეს და ააფრეს საფრანგეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთი სახარის არაბელები იმ დროს, როდესაც აუარებელი ჩვენი მოძმეები (ლმერთმა დაიფაროს ისინი!) თქვენთან ერთად ებრძვიან მტერს, რომელიც შემოგიფარდათ თქვენ ქვეყანაში, და იმ დროს როდესაც თქვენ სტილიობთ არაბელებსაც ისეთი თავისუფლება მიანიჭოთ, როგორც ფრანკუზებსა აქეთ. ჩვენ გეტყვიო, რომ ამ ნაირი ხალხის აჯანყების მეცადინეობა არის საქმე წინააღმდეგი სამართლიანობისა და ლეთისა და ერის სურვილისა. ჩვენ გვედრებით ყოველთ-შემძლებელ ლმერთს, რათა იმან დასაჯოს საფრანგეთის მოლაღტეები და გააქრვოს იმის მტრები.“ ხელმოწერილია: აბდელ-კადერი, მართლის-მოყვარეო.

გიბლიოზგაფიული ცნობა
სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმული მრთის იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ, დაბეჭდილინი მეორეს გამოცემით რომელი არის შეესებული 73 ახლითა ქადაგებითა, ისყიდებიან: თფილისში, სასულიერო სემინარიაში ი. ზოგებაშვილისას, და ალადათოვის წიგნების მაღაზიაში, შუთისში—თვით ეპისკოპოსის სახლში. ფასი ეგზეპლიარისა სქელ ქალაღზედ დაბეჭდილის ორი მანეთი, თხელზედ—მანეთ-ნახევარი.

ისყიდება
თფილ.ში | შუთისში
შ. ტერგიქურიანცის | შ. სიმონ ჩამაძის-
შ. ალადათოვის წიგ- | თან, პრინცი სტამ-
ნის მაღაზიებში. | ბაში.
თითო შაურია.
1.—„საწარი რეპული“, სურათებით მიღებული შკოლებისთვის. ამ რეგულთ ყმაწვილი ადვილათ მსწავლობს ქართულ წერასა.
2.—„ქაბა აწონა“, ახალი კომედი ორ მოქმედებათ.
თფილისს გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ ფოჩტით მოითხოვონ ეს წიგნები შ. ტერგიქურიანცისგან, პრეტურის ქარვასლაში.

ისყიდება თფილისს მართანოვის წიგნის მაღაზიაში და ი. ზოგებაშვილისას.

ქართული ანგანი
შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან.
ფასი ორი შაური

გუნების კარი
საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის საქართველოს კარტითა შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან.
ფასი სამი ანაზი და ერთი შაური

ალადათოვის მაღაზიაში ისყიდება.

გაუზუების მოვლა
ღარიგება ყმაწვილების მოვლისა | თხზულე-
ბა ინგლისის კოროლევის დოქტორის ძომბისა-
ფასი ათი შაური